პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 დეკემბერი, კვირა, 1985 წ.
№ 285 (9076) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს მე-19 ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. უკვე გაიმართა ორი ტური.

ჩვენი ფოტორეპორტიორის ალექსანდრე კოტორაშვილის მიერ გადაღებულ სურათზე ასახულია სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრებთა შეხვედრის მომენტი.

იხ. მე-3 გვ.

ელვა-ინფორმაცია

ერევანი: „ლელოს“ სპეციალურმა კორესპონდენტმა რევაზ თავარიანმა ტელეფონით გვაცნობა:

ნონა გაფრინდაშვილი ჩემპიონია!

გუშინ მოჭადრაკე ქალთა 45-ე საკავშირო ჩემპიონატზე გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ გამოვლინდა სსრ კავშირის 1985 წლის ჩემპიონი. ასპარეზობის ფინიშამდე ერთი ტურით ადრე ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ჩვენმა სახელოვანმა მოჭადრაკემ **ნონა გაფრინდაშვილმა.** ნონა ახლა სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონია. წლევანდლამდე ამ ტიტულს იგი 1964, 1978, 1976 და 1981 წლებში ფლობდა. საბჭოთა მოჭადრაკე ქალებიდან ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონი მხოლოდ ვალენტინა ბორისენკო იყო.

ვულოცავთ ჩვენს სახიქადულო მოჭადრაკეს ბრწყინვალე გამარჯვებას.

ბოლო ტურის წინ გადადებული პარტია ნონა გაფრინდაშვილმა ყაიმით დაამთავრა სახატოვასთან. ყაიმით დასრულდა აგრეთვე გურიელ — ლიტინსკაიას, გურიელ — რუჩიევას და ლიტინსკაია—მუჩნიკის პარტიები. 16 ტურის შემდეგ ნონა გაფრინდაშვილს 12 ქულა აქვს, გურიელს და ლიტინსკაიას 10,5-10,5, მატვეევას — 10.

მაშ ასე, ჩემპიონი გამოვლინდა. ბოლო ტურში გაირკვევა თუ ვინ დაიკავებს II და III საპრიზო ადგილებს. მედლისათვის ბრძოლის კარგი შანსი აქვს ნინო გურიელს. ბოლო, XVII ტურში ერთმანეთს ხვდებიან გაფრინდაშვილი — ბაგინსკაიტე, პიარნპუუ — გურიელი, ლიტინსკაია — საუნინა, მატვეევა — მუჩნიკი.

„მართვემ“ იმედი უნდა გაამართლოს

თითქოს ისეთი არაფერი მომხდარა: ერთმა ბიჭმა ორ კვირაში ნახევარი სანტიმეტრი მოიმატა სიმაღლეში. სწორი ბრძანდებით, რესპუბლიკის მასშტაბით ეს, მეტი რომ არა ვთქვათ, უმნიშვნელო მოვლენაა. მაგრამ მაინც, ნუ იჩქარებთ დასკვნების გამოტანას. ლაპარაკია თბილისის კალათბურთელთა გუნდის — „მართვეს“ ცენტრის მოთამაშის, 12 წლის ბიჭის ას ოთხმოცდამეცხრე სანტიმეტრზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტანმაღალ კალათბურთელებს სანთლით ეძებენ ჩვენი მწვრთნელები და სპეციალისტები, თუ ჩვენი კალათბურთის დღევანდელ მძიმე მდგომარეობასაც გავიხსენებთ, ის ნახევარი სანტიმეტრი არც ისე უმნიშვნელოდ მოგვეჩვენება.

ეს ისე, შესავლის მაგიერ.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

ქ. მონპელიეში (საფრანგეთი) მიმდინარეობს დამატებითი შეხვედრა მიხეილ ტალსა (სსრ კავშირი) და იან ტიმანს (ჰოლანდია) შორის მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩების ერთი საგზურისთვის.

6 დეკემბერს მეტოქეებმა გაითამაშეს მეოთხე პარტია, რომელშიც ჰოლანდიელი დიდოსტატი თეთრებით იყო. 27-ე სვლაზე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

მატჩის ანგარიშია 2,5:1.5 იან ტიმანის სასარგებლოდ. საგზური ტალმა რომ მოიპოვოს, აუცილებლად უნდა მოიგოს დარჩენილი ორი პარტია.

ევროპის კალათბურთელთა საკლუბო ტურნირების მონაწილეებმა მორიგი შეხვედრები გამართეს.

ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კაუნასის „ჟალგირისის“ მთავარმა მეტოქეებმა — პრიზის ახლანდელმა მფლობელმა ზაგრების (იუგოსლავია) „ციბონამ“ და მადრიდის „რეალმა“ პირველი შეხვედრები მოიგეს. ესპანელებმა, მაგალითად, შინ საფრანგეთის ჩემპიონი „ლიმოჟი“ დაამარცხეს — 101:84.

ამავე რანგის ქალთა ტურნირში მოსკოვის ცსკა-ს პარტნიორმა, საფრანგეთის „სტად ფრანსემ“ პრაღაში ადგილობრივი „ვისოკა შკოლა“ დაამარცხა — 64:56. მეორე მეოთხედფინალური ჯგუფის შეხვედრები ასე დამთავრდა: „პარტიზანი“ (ბელგრადი) — „ვიჩენცა“ 57:87, „ლევსკი-სპარტაკი“ (სოფია) — „უნივერსიტატია“ (კლუჟი) 83:61.

დელი. აქ დაიწყო დამოუკიდებელი ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ხსოვნისადმი მიძღვნილი ბალახის ჰოკეისტთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ხუთი ადგილობრივი გუნდის გარდა საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და პაკისტანის (ორი) კოლექტივები მონაწილეობენ. პირველი მატჩი სსრ კავშირის ნაკრებმა ინდოეთის ცენტრალური სარეზერვო პოლიციის გუნდთან ფრედ დაამთავრა — 1:1 (0:0).

რიგა. ლატვიის დედაქალაქში ჩატარდა სპორტული ფილმების X საკავშირო ფესტივალი. კონკურსზე წარმოდგენილი იყო 87 დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული, მულტიპლიკაციური ფილმი და კინოჟურნალი. დოკუმენტური ფილმებიდან ოქროს მედლები და პირველი ხარისხის დიპლომები მიიღეს ლიტვის კინოსტუდიის ნაწარმოებმა „ციტიუს, ფორტიუს და... არითმეტიკა“ და გაერთიანება ეკრანის ფილმმა „ჩვენი ბავშვობის ფეხბურთი“.

წყალბურთელთა საკავშირო ტურნირი I ლიგის საგზურის მოსაპოვებლად

ფავორიტებმა ქულები გაიყვეს

გადასახვლელი ტურნირის დაწყებამდე თბილისელ არმიელთა გუნდის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, ერევნელი წყალბურთელები შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტებად მიგვაჩნიაო. დიახ, სომხეთის წყალბურთელები ამ ტურნირის მონაწილეთა შორის, შეიძლება ითქვას, ყველაზე გამოცდილნი არიან. მართალია, შარშან I ლიგას გამოეთხოვნენ, მაგრამ წლეულს გუნდი გადაახალისეს, გააძლიერეს და ახლა კვლავ იქით უჭირავთ თვალი. ასეთივე პრეტენზიები აქვთ თბილისის ასკ-ს წყალბურთელებსაც. ტურნირის დაწყებამდე ამ გუნდებმა ამხანაგური მატჩები გამართეს და ერთმანეთი „საქმეში“ გაიცნეს. მაშინ თბილისელებმა იყოჩაღეს, მაგრამ ერთია საკონტროლო თამაშები, ოფიციალური შეხვედრა კიდევ — სხვა.

სარბიელზე არიან თბილისელი და ერევნელი წყალბურთელები.

ასეა თუ ისე, მასპინძლებს იმ საკონტროლო შეხვედრებში, როგორც სჩანს, თავიანთ შესაძლებლობებზე გაზვიადებული წარმოდგენა შეექმნათ. ეს რწმენა ალბათ უფრო განუმტკიცდათ გუშინდელი მატჩის დასაწყისში, როცა ერევნელთა კარში ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს. არ ვიცით, აბა სხვას რას დავაბრალოთ ის, რომ თბილისელი არმიელები ერთხანს მოეშვნენ და საკუთარ კარში ზედიზედ სამი უპასუხო ბურთი გაუშვეს. მას შემდეგ საგრძნობ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ველარ მიაღწია.

ამ უაღრესად დაძაბული და საინტერესო შეხვედრის დასასრულს თბილისელები მაინც მიუახლოვდნენ მიზანს. როცა მატჩის დასასრულამდე წუთილა რჩებოდა, ისინი წინ იყვნენ ანგარიშით 10:9. თანაც ბურთსაც ფლობდნენ და მეტოქის კარსაც უტევდნენ. ერთი სიტყვით, შეეძლოთ ნახევარი წუთით მაინც არ დაეკარგათ ბურთი, მაგრამ იჩქარეს და სტუმრებმაც უმალ კონტრიერიში წამოიწყეს. ჩემს გვერდით რომელიღაც გულშემატკივარმა ჩაილაპარაკა, ახლა რომ თბილისელები დამარცხდნენ, მათთვის ეს ჭკუის სასწავლებელი იქნებაო. ერევნელმა წყალბურთელებმა, როგორც იტყვიან, შანსი ხელიდან აღარ გაუშვეს და ანგარიში გაათანაბრეს 10:10 (2:2, 2:2, 3:3, 3:3), ასე დამთავრდა ფავორიტთა პაექრობა.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები: „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ავანგარდი“ (უჟგოროდი) 6:6, ასკ (როსტოვი) — ზილი (მოსკოვი) 6:11.

ხვალ შეჯიბრების მონაწილენი ისვენებენ.

ავთანდილ ჟუჟუნაშვილი.

ჩიხში

საქართველოს სპორტკომიტეტში

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საბჭო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის, საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1985 წლის 20 ივლისის კრების გადაწყვეტილებათა მოთხოვნებს.

კოლეგიის სხდომა რამდენიმე საათს გაგრძელდა. რამდენიმე საათს იხილავდნენ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი სოლიდური სპორტული საზოგადოების — „ლოკომოტივის“ საქმიანობის ავკარგს. საზოგადოების ხელმძღვანელ და პასუხისმგებელ მუშაკებს მთელი პრინციპულობით მიუთითეს ნაკლოვანებებზე. მკაცრი მომთხოვნელობის ატმოსფეროში მოისმინეს საზოგადოების ხელმძღვანელობის განმარტებები, რამაც არ დააკმაყოფილა კოლეგიის წევრები. გამოაშკარავდა, რომ საზოგადოების საგზაო საბჭო, როგორც მთელი მუშაობის წარმმართველი და მაკოორდინირებელი შტაბი, ხშირ შემთხვევაში თავს ვერ ართმევს ბევრ პრობლემას, გადასაწყვეტ საკითხებში ზოგჯერ იგრძნობა არაკომპეტენტურობა და არასაკმაო ავტორიტეტი. თვითდინებაზეა მიშვებული მუშაობა ისეთ უმთავრეს უბანზე, როგორიცაა მუშა-მოსამსახურეთა შორის სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა. სრული დატვირთვით ვერ იყენებენ სპორტულ ბაზებს, განსაკუთრებით — თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონს, ჭიანურდება საცურაო აუზის რეკონსტრუქცია და ავჭალის სანიჩბოსნო ბაზის კეთილმოწყობა. შეკეთებას მოითხოვს ფიზკულტურის სახლი.

კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საგზაო საბჭოს საქმიანი კავშირი ვერ დაამყარა გზისა და საგზაო პროფკავშირების ხელმძღვანელებთან, ზოგჯერ სპორტული მუშაკებისგან, როგორც კოლეგიაზე გამოირკვა, რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელობა ყოველთვის როდი იღებს ობიექტურ და დასაბუთებულ ინფორმაციას გადასაჭრელი პრობლემების შესახებ. „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოსადმი ხელმძღვანელობასა და მთელ რიგ სხვა საკითხებში თანმიმდევრული პრინციპულობა ვერ გამოიჩინა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებამ.

კოლეგიაზე ითქვა, რომ „ლოკომოტივმა“ ბოლო ხანს ერთგვარად გამოაცოცხლა მუშაობა, გაიზარდა რკინიგზელ სპორტსმენთა წვლილი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში და ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში ნაჩვენებ შედეგებში. ორი სპორტსმენი — ტანმოვარჯიშე ვლადიმერ გოგოლაძე და ნიჩბოსანი კახა ლომიშვილი — შეყვანილია ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა სიაში, 45 (ძირითადად რეგბისა და ბალახის ჰოკეის წარმომადგენლები) საქართველოს ნაკრებ გუნდებში. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის საკმარისი, საზოგადოების პოტენციური შესაძლებლობები გაცილებით დიდია. წარმატებები მეტი იქნებოდა სრულად რომ ავლენდნენ და იყენებდნენ რეზერვებს, არ ურიგდებოდნენ ნაკლოვანებებს.

მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის, რომ უსისტემობა იგრძნობა საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობაში, პრეზიდიუმზე განხილული საკითხები მოკლებულია პროფესიულ ანალიზსა და სიმწვავეს, თვალში საცემია მიღებულ დადგენილებათა ტრაფარეტულობა. ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ორგანიზაცია და მშდ ფიზკულტურული კომპლექსის დანერგვა, პრეზიდიუმს ორი წელია არ უმსჯელია. 100-მდე შრომით კოლექტივში დღემდე არ შეუქმნიათ ფიზკულტურული კოლექტივი. 49 ორგანიზაციიდან მხოლოდ 21-ში მუშაობს მეთოდისტი, 4 კოლექტივში შტატი ვაკანტურია, 21-ს კი შტატითაც არ ჰყავს გათვალისწინებული მეთოდისტი. აღინიშნა, რომ სერიოზული ნაკლოვანებებია სტალინის სახელობის ვაგონშემკეთებელი ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობაში. თბილისის მეტროპოლიტენის 10 ობიექტიდან მხოლოდ სამში ტარდება საწარმოო ტანვარჯიში. ამ ორგანიზაციაში ფიზკულტურის საბჭო ფორმალურად არსებობს. უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა თბილისის სავაგონო დეპოში, სადაც ორი ათასი კაცი მუშაობს. მომთხოვნელობის შესუსტებამ და უკონტროლობის შედეგად საზოგადოებაში სპორტის 12 სახეობაში მომეცადინეთა რიცხვმა იკლო.

ხელმიშვებულობამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ რკინიგზელთა 14 სახლმმართველობის 60 ათასამდე მობინადრე და რვა საერთო საცხოვრებლის კიდევ ათასობით მცხოვრებნი მოკლებულნი არიან საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის სიკეთეს. 14-დან მხოლოდ სამ სახლმმართველობაში ჰყავთ პედაგოგ-ორგანიზატორი. გამოუყენებელი რჩება ტურიზმის დიდი შესაძლებლობები. თბილისისა და სამტრედიის განყოფილებებში, როგორც კოლეგიაზე ითქვა, არავითარი ზომები არ მიუღიათ ფასიანი გამაჯანსაღებელი ჯგუფების შესაქმნელად. „ლოკომოტივის“ თბილისის სტადიონზე კი 9 ჯგუფიდან მხოლოდ ოთხია ფასიანი.

კოლეგიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საზოგადოებაში სპორტული რეზერვის მომზადების საკითხს. გამოირკვა, რომ საგზაო საბჭო არაკვალიფიციურად მართავს ამ პროცესს. ბავშვთა და მოზარდთა ოთხი სპორტული სკოლა ვერ იქცა რეზერვის მომზადების კერად. არადა, ყოველწლიურად ამ სკოლების შესანახად 85 ათასი მანეთი იხარჯება. სპორტულ სკოლებში ძალზე დაბალია სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის დონე. ძალზე უმნიშვნელოა 23 ცენტრალური სექციის უკუგება. კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებას უნდა მიეწეროს ის ფაქტიც, რომ 59 მწვრთნელი, რომელიც საზოგადოებაში სპორტული რეზერვის აღზრდას ემსახურება, უნაყოფოდ მუშაობს. სპორტული რეზერვის მომზადების თაობაზე ბოლო წლებში საერთოდ არ უმსჯელია საგზაო საბჭოს პრეზიდიუმს. ამიერკავკასიის რკინიგზის პირველობაში თბილისის საგზაო საბჭოს განყოფილებამ ბოლო ოცი წლის მანძილზე წელს პირველად დათმო ლიდერობა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს სპორტულ რეზერვების აღზრდაში დაშვებულ უსისტემობას.

კოლეგიამ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს მიერ სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად გაწეული მუშაობა. კოლეგიამ საბჭოს პრეზიდიუმს მიუთითა, „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. თ. ქობულაძეს კი საყვედური გამოუცხადა.

პრეზიდიუმს კოლეგიამ დაავალა მკაცრად იმსჯელოს „ლოკომოტივის“ თბილისის განყოფილების (თავმჯდომარე მ. ბალდასაროვი) მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს რესპუბლიკის სპორტკომიტეტს. გარდაქმნას და სრულყოს აპარატის მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ თითოეული მუშაკის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას, გააძლიერონ პრაქტიკულ საქმიანობაში საქალაქო და რაიონული საბჭოს როლი, გადამჭრელი ზომები მიიღონ და აღკვეთონ მუშაობაში ფორმალიზმის, მიწერების, სიყალბის ყოველგვარი გამოვლინება. სისტემატურად ჩაატარონ მასობრივი ღონისძიებები და შეჯიბრებები, ტურისტული ლაშქრობები, შექმნან ფასიანი ჯანმრთელობის ჯგუფები, სრულყონ კადრებთან მუშაობა. მატერიალურ-სპორტული ბაზის განსამტკიცებლად სრულად გამოიყენონ შრომითი კოლექტივების შესაძლებლობები.

ცნობად იქნა მიღებული, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის ბრძანებით 1986 წლიდან ყველა ფიზკულტურულ კოლექტივში დაშვებულია ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტის შტატი. ცნობად იქნა მიღებული აგრეთვე ისიც, რომ შემუშავებულია XII ხუთწლედში საზოგადოებაში მატერიალურ-სპორტული ბაზის განვითარების გეგმა.

კოლეგიამ საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების (ვ. ქურდიანი) ყურადღება გაამახვილა „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე და წინადადება მისცა გააძლიეროს ხელმძღვანელობა საზოგადოების საქმიანობისადმი.

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგია დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ კვლავ იმსჯელებს მომავალი წლის ოქტომბერში.

„მართვემ“ იმედი უნდა გაამართლოს

(დასასრული)

ახლა კი მთავარზე გადავიდეთ. ამ დღეებში მოსკოვში დამთავრებულ მინი-კალათბურთის პირველ ფესტივალზე პირველი ადგილი დაიკავა თბილისის 58-ე საშუალო სკოლის სპეცკლასების მოსწავლეთა გუნდმა „მართვემ“. ბიჭებმა წლეულს ექვს თვეში ეს უკვე მესამედ მოიპოვეს ოქროს მედლები. მაისში მათ ყველას აჯობეს მინი-კალათბურთის საქალაქო ფესტივალზე, ივნისში რესპუბლიკურ ფესტივალზე იმარჯვეს და კლუბ „ოქროს კალათის“ პრიზი დაისაკუთრეს. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ შეჯიბრების მონაწილეებს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. ჩვენი გაზეთი მოკლედ უკვე წერდა ამის შესახებ, ახლა კი გუნდზე და მის წარმატებებზე ცოტა უფრო ვრცლად გიამბობთ.

ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ, როცა გუნდის შექმნა გადაწყდა, მწვრთნელები გივი ქილიტაური და თამაზ ოქრუაშვილი მთელ თბილისში ეძებდნენ ტანმაღალ ბავშვებს. სხვა ქალაქებზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო — იმის საშუალებაც არ ჰქონდათ, რომ ბავშვები დროებით საცხოვრებლად მაინც ჩამოეყვანათ. იძულებული გახდნენ თავიდან ყველა მსურველთან ჩაეტარებინათ საწვრთნელი მეცადინეობები, ისეთებთანაც კი, აშკარად უპერსპექტივოები რომ იყვნენ. თუმცა, ათი წლის ბიჭში მომავალი კალათბურთელის ამოცნობა თითქმის შეუძლებელია. აქ ერთადერთი საიმედო ნიშანი სიმაღლეა.

გივი ქილიტაური პროფესიით მშენებელი ინჟინერია. თავის დროზე იგი საზოგადოებრივი მწვრთნელი გახლდათ და კარგად იცნობდა „ძიების“ ტექნიკას. როცა ქალაქში იმედი გადაეწურა, მწვრთნელმა ყოველ კვირას ქალაქგარეთ დაიწყო სიარული (თუ დრო ჰქონდა, შაბათობითაც მიდიოდა). დადიოდა, ეძებდა, ნაცნობს და უცნობს ყველას ეკითხებოდა, კალათბურთისთვის შესაფერისი სიმაღლის ბიჭები ხომ არსად გეგულებათო.

ერთ წელიწადს საგარეუბნო ავტობუსებით მოგზაურობამ უშედეგოდ ჩაიარა — თბილისის ახლომახლო გივი ქილიტაურმა ვერავინ იპოვა.

ერთხელ ვიღაცამ უთხრა, ქობულეთში არის ერთი ბიჭი, „ნამდვილი გიგანტი“, გვარად რევაზიშვილი უნდა იყოსო. წავიდა ქობულეთში და, როცა ხელმოცარული უკვე შინ დაბრუნებას აპირებდა, სწორედ მაშინ იპოვა. ბიჭი გვარად ლაზიშვილი აღმოჩნდა. გივი ქილიტაურმა თბილისში ჩამოიყვანა და შინ, თავისთან წაიყვანა საცხოვრებლად. ახლა ელდარი მესამე ვაჟად ჰყავთ მიჩნეული ქილიტაურების ოჯახში. ბიჭი, რომელმაც კალათბურთის ნამდვილი ბურთი პირველად აქ, თბილისში აიღო ხელში, მოსკოვის ფესტივალის მონაწილეთა შორის ყველაზე პერსპექტიულ კალათბურთელად აღიარეს. ნოემბრის პირველ რიცხვებში იგი სიმაღლით ზუსტად 188 სანტიმეტრი იყო და, ამავე დროს, ყველაზე მაღალიც გახლდათ შეჯიბრების 163 მონაწილეში.

თბილისის გუნდის ღირსებას იცავდა იმედა მუშკუდიანიც. იგი წყალტუბოდან ჩამოიყვანეს და ახლა კლასის აღმზრდელის ირინე ჩუბინიძის ოჯახში ცხოვრობს, მის სამ შვილთან ერთად.

უნდა ითქვას, რომ მომავალ კალათბურთელთა ბიოგრაფიის ფორმირებაში სულ სხვადასხვა ხალხი მონაწილეობს, ზოგჯერ ისეთებიც კი, კალათბურთისა და სპორტისაგან მეტად შორს რომ არიან. მაგალითად, საზაფხულო არდადეგებზე კალათბურთელებს ბეთანიაში სპორტული შეკრებისთვის „საქენერგომ“ დაუთმო ადგილი (მათ შორის — ორი საგანგებოდ მოწყობილი მოედანი), ბეთანიაში ორასი ბავშვი ისვენებდა და ვარჯიშობდა.

კიდევ ერთი მაგალითი: მოსკოვის ფესტივალის პროგრამაში ცეკვის კონკურსიც შედიოდა. ასპარეზობის დაწყებამდე სულ რაღაც ხუთი დღე რჩებოდა, როცა თბილისის № 49 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ლია სვანიძემ ითავა ამ თითქოს შეუსრულებელი ამოცანის შესრულება: ბიჭებს ცეკვა ასწავლა და თბილისელ კალათბურთელთა „კინტაურმა“ ასევე პირველობა დაიმსახურა.

ამ ხალხს ერთი გრძნობა ამოძრავებს — ქართული კალათბურთის მომავალზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა. „მართვეს“ შეუძლია გაამართლოს, უნდა გაამართლოს ჩვენი საერთო იმედები.

...გუშინ, მორიგი ვარჯიშის დაწყების წინ, „მართვეს“ ცენტრის მოთამაშის 12 წლის ელდარ ლაზიშვილის სიმაღლე 188,5 სანტიმეტრი იყო...

პეპი ბოჟორიშვილი.

ლის იქით და ლის აქეთ...

ვანი

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ვანის რაისაბჭომ ტურიზმის განვითარება-პოპულარიზაციისა და მშთ-ს კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მიზნით მოაწყო ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: — გადიდი — კატრები — ვანი. ლაშქრობაში მონაწილეობდა 250 მუშა-მოსამსახურე.

ტურისტებმა გაშალეს კარვები, გააჩაღეს კოცონი, ერთმანეთს შეეჯიბრნენ ტურისტულ მრავალჭიდში, ჩააბარეს მშდ კომპლექსის ნორმატივები.

იორამ ნიკოლეიშვილი.

ლაგოდეხი

დიდი ხნის სპორტული მეგობრობა აკავშირებთ აზერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურისა და ლაგოდეხის ბავშვთა სპორტული სკოლების სპორტსმენებს.

ამას წინათ ლაგოდეხში სტუმრად იმყოფებოდნენ და ამხანაგური შეხვედრები გამართეს მინგეჩაურელმა ფეხბურთელებმა და ფრენბურთელებმა.

ფეხბურთელთა პაექრობა გაიმართა ლაგოდეხის ცენტრალურ სტადიონზე. 90-წუთიანი ორთაბრძოლა მასპინძელთა გამარჯვებით (2:1) დამთავრდა.

ფრენბურთელ ვაჟთა და გოგონათა პაექრობაში, რომელიც ლაგოდეხის პირველი საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში შედგა, გოგონებში კვლავ მასპინძლებმა იმარჯვეს — 2:0. ჭაბუკებში კი სტუმრებმა მიაღწიეს წარმატებას — 2:1.

ფრიდონ კვირიკაშვილი.

მკითხველი — გაზეთი

პატივცემულო რედაქცია!

გთხოვთ გვიპასუხოთ, რა წიგნები გამოვა უახლოეს ხანში რიტმული ტანვარჯიშის შესახებ?

ელენე ხაინდრავა,

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის ქორეოგრაფი.

სულ მალე გამომცემლობა „ფიზკულტურა და სპორტი“ მკითხველს შესთავაზებს ტ. ლისიცკაიას წიგნს „რიტმული ტანვარჯიში“, მომავალი წლისათვის კი გამოსაცემად ამზადებს რიტმული ტანვარჯიშისადმი მიძღვნილ ალბომს.

გარდა ამისა, გამომცემლობა „მოლოდაია გვარდია“ 1986 წელს სერიით „თუ გსურს ჯანმრთელი იყო“ გამოსცემს წიგნს „იყავ ახალგაზრდა და გრაციოზული“ (ავტორი — ი. ვედენეევა).

„ზარია ვოსტოკას" პრიზზე

რვა წამი რჩებოდა...

ახეთ „ზარია ვოსტოკას" სა- თასის 14-გზის მფლობელის სრ კავშირის ნაკრების უფრო- მწვრთნელმა ანატოლი ევტუ- ამ სასტარტო მატჩში უნგრე- გუნდთან ძირითადი შემადგე- ობით დაიწყო თამაში. მოედა- ერთდროულად 6 სპორტის და- რებული ოსტატი ვიხილეთ ის კაპიტნის ვოლდემარ ნოვი- მეთაურობით — ისინი, ვინც სანდრე ანპილოგოვთან ერ- სულ ახლახან სუპერთასის გა- მების მძიმე ბრძოლები (გა- ანა.

ჩის დებიუტში ჩვენმა ტრიანმა თავდამსხმელმა სანდრე რიმანოვმა ზედი- 3 ბურთი გაიტანა, სტუმრებმა ლ კოვაჩი) კი ალექსანდრე ში- ს კარი პირველ სამწუთიულ- მხოლოდ ერთხელ დალაშქრეს. ე წუთის შემდეგ ტაბლოზე 6:2 ეწერა. საბჭოთა ნაკრე- ნ თავი გამოიჩინა გაგინმა ერ) და კვლავ რიმანოვმა. ოთხი ბურთი ძლიერ მეტოქეთა დავაში საკმაოდ დიდი ფორაა და სტუმრებმაც სწორად გადაწყვიტეს, რომ ასეთი „მეთოდურობით" ფონს ვერ გავიდოდნენ. ამ წუთებში თავისი „რიხიანი სიტყვა" თქვა გუნდის კაპიტანმა, ვეტერანმა პეტერ კოვაჩმა, რომელიც ბარემ აქვე ვიტყვით, მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო (9 ბურთი). ძირითადად სწორედ მისი წყალობით სტუმრებმა შესვენებამდე 4 წუთით ადრე გაათანაბრეს ანგარიში — 10:10. ევტუშენკომ მოედანზე ახალგაზრდა მეკარე მიხეილ იუზკო (იგი კაუნასის „გრანიტასიდანაა") გამოიყვანა. მაგრამ მწვავე იერიშზე გადმოსული სტუმრები ვერც ამან შეაკავა. კოვაჩმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი, სულ მალე კი სამამდე გაზარდა ბურთების სხვაობა — 14:11.

გაცილებით საინტერესო გამოდგა შეხვედრის მეორე ნახევარი. დაწყებული მე-10 წუთიდან, როდესაც ჩვენმა საუკეთესო ბომბარდირმა რაიმონდ ვალუცკასმა (7 ბურთი) გაათანაბრა ანგარიში (17:17), თამაში, რომ იტყვიან, ქულა ქულაში მიდიოდა. სიტუაცია უკიდურესობამდე დაიძაბა: 18:18, 19:19, 20:20, 21:21, 22:22, 23:23, 24:24... რჩება 8 წამი. ვალუცკასის ტყორცნა კვლავ აღწევს მიზანს — 25:24. იქვე უნგრელებს ეძლევათ ჯარიმის უფლება. კოვაჩს შეუძლია გადაარჩინოს ქულა, მაგრამ... მძლავრად ნატყორცნი ბურთი ძელს ხვდება. გაისმის საფინალო სასტვენი.

ძლიერ მეტოქეს, ისეთი როგორიც პოლონეთის გუნდია, საქართველოს ნაკრებმა ენერგიული და გააზრებული ბრძოლა დაუპირისპირა. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებმა (ზბიგნევ პეხოჩმა და ბოგდან ვენტამ) ერთ წუთში ორჯერ აიღეს მეკარე ამირან კომახიძის კარი, ჩვენი ხელბურთელები არ შეუშინდნენ ასეთ უსიამო დებიუტს და მთელი გუნდით გადავიდნენ კონტრშეტევაზე. გოჩა დემეტრაშვილმა, ამბერკი ტაბიძემ და მასპინძელთა „მძიმე არტილერიამ" — ალექსანდრე ანპილოგოვმა მე-15 წუთისათვის 3 ბურთით დააწინაურეს თავისი გუნდი — 7:4. მაგრამ თურმე ეს იყო მასპინძელთა თამაშის, ასე ვთქვათ, კულმინაცია. სულ 2 წუთი დასჭირდათ პოლონელებს, რათა გაეთანაბრებინათ ანგარიში (7:7) და, დაწყებული აქედან, ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა. მიუხედავად ანპილოგოვისა და ჩვენი გუნდის ახალი წევრის ვლადიმერ მიხუტას აქტიურობისა, პირველი ტაიმი 2 ბურთის სხვაობით წავაგეთ —13:15. შესვენების შემდეგ მასპინძელთა კარს კომახიძესთან მონაცვლეობით ჯემალ ბარამიძეც იცავდა. მასპინძელთა შემადგენლობაში მოედანზე ამ დღეს ვიხილეთ ორი ახალგაზრდა—ზაზა გულია და დავით სარიბეგოვი. ცუდად როდი ითამაშეს მათ, მაგრამ ტექნიკურ და სწრაფ სტუმართა იერიშებს, რომელსაც სათავეში ედგა გუნდის კაპიტანი და ბომბარდირი დანიელ ვაშკევიჩი (მან და ანპილოგოვმა ამ დღეს ყველაზე მეტი, 8-8 ბურთი გაიტანეს), ჩვენმა გუნდმა მეორე ნახევარში აშკარად ვერ გაუძლო და დამარცხდა — 25:30.

ოთარ ნოჟაძე.

გუშინ...

ტურნირზე გაიმართა მორიგი ორი მატჩი. სსრ კავშირის ნაკრებმა მეორე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად ჩეხოსლოვაკიის გუნდთან — 18:15 (12:7). ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა წააგო უნგრელ ხელბურთელებთან — 25:29 (14:16).

48 ჩემპიონატის ბომბარდირები

ახლახანს დამთავრდა სსრ კავშირის 48-ე ჩემპიონატი ფეხბურთში ლესი ლიგის გუნდებს შორის. საბჭოთა კავშირის 48 პირველობა — თელი საფეხბურთო ეპოქაა, ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ფეხბურ- ბევრი, ძალიან ბევრი რამ მოხდა, იცვლებოდნენ თაობები, მოდიო- ნ ახალგაზრდა ფეხბურთელები, ძველი ამბები ხშირად დავიწყებას ეოდა, ახალ მაყურებელს, ახალ გულშემატკივარს, ბუნებრივია, თა- დროის მოვლენები უფრო აინტერესებს, ვიდრე ძველი საარქივო ბი.

ხანც, ისტორია — ისტორიაა. ახალს ყოველთვის ძველი წარმოქმ- და, საერთოდ, სტატისტიკისთვისაც დიდად საინტერესო და საყურა- ბოა, რაც კი ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში მომხდარა.

ევანდელ წერილში გვინდა საუბროთ ჩვენი ქვეყნის სა- ბურთო ჩემპიონატების საუკე- ბომბარდირებზე. ფეხბურ- მოყვარულმა კარგად იცის, ჩვენში არსებობს გამოჩენილი ეთა ფეხბურთელის, სპორ- დამსახურებული ოსტატის ორი ფედოტოვის სახელობის ბი, რომელშიც ჩვენი ფეხბუ- ყველაზე შედეგიანი ფეხბუ- ები არიან გაერთიანებული, წლიურად ქვეყნდება 100 აზე საუკეთესო ბომბარდირის ლიული სია. გაზეთ „ტრუ- რედაქციამ 1958 წელს საგა- ო პრიზი დააწესა ჩემპიონა- ყველაზე შედეგიანი ფეხბუ- ლისთვის. „ტრუდის" ლაურე- სია ყოველ წელს ქვეყნდე- მაგრამ სა ბარო მასალებ- ჩვეულებ , ქვეყნდება მხო- ფეხბურთელთა გვარები და ტიკოსები რატომღაც არ თებენ ხოლმე თუ ვინ რო- წელს რამდენი ბურთი გაი-

რამ ბომბარდირებს შორის რენციაცია უნდა მოვახდინოთ. წლის გაზაფხულზე ჩატარდა კავშირის პირველი ჩემპიონა- აქ მაშინ სულ 7 გუნდი გამო- და, მაგრამ იყო წლები, რო- ჩემპიონატის მონაწილე გუნ- ს რაოდენობა 22-26-ს აღწე- ამიტომ ერთმანეთისგან უნ- ანვასხვავოთ ის მოთამაშე, რო- მაც ერთ სეზონში 6 მატჩში ო მონაწილეობა და ისინიც, ე ოთხჯერ უფრო მეტი თამა- ატარება მოუწია. სტატისტი- ბს, რა თქმა უნდა, ეს გარე- ბაც აქვთ მხედველობაში მი- ლი, ამიტომ მათ საშუალო ჩვენებელიც გამოჰყავთ, ე. ი. ურთელის აბსოლუტურ შედე- ობას საზღვრავენ მისი საშუა- პროცენტული მაჩვენებლით. ვიხსენოთ უმაღლესი ლიგის შირო ჩემპიონატების უკლე- ე ყველა 48 ჩემპიონატის ყვე- შედეგიანი ფეხბურთელები, ამი საუკეთესო შედეგი ყო- ჩემპიონატში.

36 წელი. გაზაფხული. ჩემ- ატში მონაწილეობდა 7 გუნ- 1. მ. სემიჩასტნი („დინამო" 6 ბურთი, 2-3. ვ. პავლოვი ნამო" მ.), ვ. სმირნოვი („დი- " მ.) — 5-5.

36 წ. შემოდგომა. (8 გუნდი). გლაზკოვი („სპარტაკი" მ.) , 2-3. ვ. ლავროვი („ლოკო- ივი" მ.), ვ. სტეპანოვი („სპა- " მ.) — 6-6.

37 წ. (9 გუნდი). 1. ვ. სმირ- („დინამო" მ.) — 8, 2-3. ბ. ძე („დინამო" თბ.), ლ. რუ- ევი („სპარტაკი" მ.) — 7-7.

38 წ. (26 გუნდი). 1. ა. პონომარიოვი („ტრაქტორი", სტალინგრადი) — 19, 2-4. ს. კაპელკინი („მეტალურგი" მ.), გ. ფედოტოვი (ცდკა), ა. სოკოლოვი („სპარტაკი" მ.) — 18-18.

1939 წ. (14 გუნდი). 1. გ. ფედოტოვი (ცდკა) — 21, 2. ბ. პაიჭაძე („დინამო" თბ.) — 19, 3-4. ს. კაპელკინი (ცდკა), ვ. სემიონოვი („სპარტაკი" მ.) — 18-18.

1940 წ. (13 გუნდი). 1. ს. სოლოვიოვი („დინამო" მ.) — 21, 2. გ. ფედოტოვი (ცდკა) — 18, 3. ა. პონომარიოვი („ტრაქტორი" სტ.) — 17.

1941 წელს საკავშირო ჩემპიონატი არ დამთავრებულა, 22 ივნისისთვის ბ. პაიჭაძეს 7 ბურთი ჰქონდა გატანილი 10 მატჩში.

1945 წ. (12 გუნდი). 1. ვ. ბობროვი (ცდკა) — 24, 2. ვ. კარცევი („დინამო" მ.) — 21, 3. ს. სოლოვიოვი („დინამო" მ.) — 18.

1946 წ. (12 გუნდი). 1. ა. პონომარიოვი („ტორპედო" მ.) — 18, 2-3. ვ. კარცევი („დინამო" მ.), ს. სოლოვიოვი („დინამო" მ.) — 17-17.

1947 წ. (13 გუნდი). 1-2. ვ. ბობროვი (ცდკა), ვ. ნიკოლაევი (ცდკა) — 14-14, 3-4. გ. ჯეჯელავა („დინამო" თბ.), ს. სოლოვიოვი („დინამო" მ.) — 12-12.

1948 წ. (14 გუნდი). 1. ს. სოლოვიოვი („დინამო" მ.) — 25, 2. ვ. ბობროვი (ცდკა) — 23, 3. ა. პონომარიოვი („ტორპედო" მ.) — 19.

1949 წ. (18 გუნდი). 1. ნ. სიმონიანი („სპარტაკი" მ.) — 26, 2-3. ა. პონომარიოვი („ტორპედო" მ.), ი. კონოვი („დინამო" მ.) — 23-23.

1950 წ. (19 გუნდი). 1. ნ. სიმონიანი („სპარტაკი" მ.) — 34, 2. ა. ღოღობერიძე („დინამო" თბ.) — 25, 3. ბ. ჩუჩელოვი („დინამო" ლ.) — 23.

1951 წ. (15 გუნდი). 1. ა. ღოღობერიძე („დინამო" თბ.) —16, 2-3. კ. ბესკოვი („დინამო" მ.), ა. პონომარიოვი („შახტიორი", სტალინო) — 15-15.

1952 წ. (14 გუნდი). 1. ა. ზაზროევი („დინამო" კიევი) — 11, 2-3. ვ. ილინი („დინამო" მ.), ა. პარამონოვი („სპარტაკი" მ.) — 8-8.

1953 წ. (11 გუნდი). 1. ნ. სიმონიანი („სპარტაკი" მ.) — 14, 2. ა. ღოღობერიძე („დინამო" თბ.) — 13, 3. ვ. ფაცკევიჩი („ტორპედო" მ.) — 9.

1954 წ. (13 გუნდი). 1-3. ა. ილინი („სპარტაკი" მ.), ვ. ილინი („დინამო" მ.), ა. სოჩნევი („შრომითი რეზერვები" ლ.) — 11-11.

1955 წ. (12 გუნდი). 1. ე. სტრელცოვი („ტორპედო" მ.) — 15, 2. ნ. პარშინი („სპარტაკი" მ.) — 13, 3-4. ვ. ილინი („დინამო" მ.), ს. სალნიკოვი („სპარტაკი" მ.)— 12-12.

1956 წ. (12 გუნდი). 1. ვ. ბუზუნოვი (სკვო, სვ) — 17, 2. ნ. სიმონიანი („სპარტაკი" მ.) — 16, 3. ი. ბელიაევი (ცდსა) — 15.

1957 წ. (12 გუნდი). 1. ვ. ბუზუნოვი (ცსკ მო) — 16, 2. ვ. ივანოვი („ტორპედო" მ.) — 14, 3-4. ა. მამიკინი („დინამო" მ.), ვ. სოკოლოვი („ლოკომოტივი" მ.) — 13-13.

1958 წ. (12 გუნდი). 1. ა. ილინი („სპარტაკი" მ.) — 12, 2-3. გ. გუსაროვი („ტორპედო" მ.), ვ. ივანოვი („ტორპედო" მ.) — 14-14. ამ წლიდან ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს აჯილდოებენ „ტრუდის" საგანგებო პრიზით. პირველი ლაურეატი, როგორც ხედავთ, იყო მოსკოვის სპარტაკელი ა. ილინი.

ეს ფოტო ჩვენი სარედაქციო არქივიდანაა ამოღებული. მასზე აღბეჭდილია თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩის ეპიზოდი „დინამოს" ძველ სტადიონზე. თბილისელთა ცენტრალურ თავდამსხმელს ზაურ კალოევს თავით გააქვს ბურთი მოსკოველთა კარში. ზ. კალოევი, როგორც ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი, 1959 და 1960 წლებში გაზეთ „ტრუდის" რედაქციის პრიზს ფლობდა.

სურათი გადაიღო ჩვენმა მაშინდელმა ფოტორეპორტიორმა მიხეილ ზარგარიანმა.

1959 წ. (12 გუნდი). 1. ზ. კალოევი („დინამო" თბ.) — 16, 2. ვ. სოკოლოვი („ლოკომოტივი" მ.) — 14, 3. თ. მელაშვილი („დინამო" თბ.) — 11.

1960 წ. (22 გუნდი). 1. ზ. კალოევი („დინამო" თბ.) — 20, 2. გ. კრასნიცკი („ფახთაქორი" ტ.) — 19, 3. ვ. სოკოლოვი („ლოკომოტივი" მ.) — 16.

1961 წ. (22 გუნდი). 1 გ. გუსაროვი („ტორპედო" მ.) — 22, 2-3. ვ. ვორონშილოვი („ლოკომოტივი" მ.), გ. კრასნიცკი („ფახთაქორი" ტ.) — 20-20.

1962 წ. (22 გუნდი). 1-4. ე. მარქაროვი („ნეფტიანიკი" ბ.), ი. სევიდოვი („სპარტაკი" მ.), ბ. კაზაკოვი („კრილია სოვეტოვი" კბ.), მ. მუსტიგინი („ბელარუსი" მნ.) — — 16-16. „ტრუდის" პრიზები გადაეცათ ე. მარქაროვს და ი, სევიდოვს, ვინაიდან მათი გუნდები პირველ ათეულში მოხვდნენ.

1963 წ. (20 გუნდი). 1. ო. კოპაევი (ასკ, რ.) — 27, 2. ე. მალოფეევი („დინამო" მნ.) — 21, 3. ვ. ივანოვი („ტორპედო" მ.) —17.

1964 წ. (17 გუნდი). 1. ვ. ფედოტოვი (ცსკა) — 16, 2. ვ. კანევსკი („დინამო" კ.) — 15, 3. ვ. ივანოვი („ტორპედო" მ.) — 14.

1965 წ. (17 გუნდი). 1. ო. კოპაევი (ასკ, რ.) — 18, 2. ე. მალოფეევი („დინამო" მნ.) — 17, 3. ბ. კაზაკოვი (ცსკა) — 15.

1966 წ. (19 გუნდი). 1. ი. დათუნაშვილი („დინამო" თბ.) — 20, 2. ა. ბიშოვეცი („დინამო" კ.) — 19, 3-4. ბ. კაზაკოვი (ცსკა), ნ. ოსიანინი („სპარტაკი" მ.) — 15-15.

1967 წ. (19 გუნდი). 1. მ. მუსტიგინი („დინამო" მნ.) — 19, 2. ო. კოპაევი (ასკ, რ.) — 17, 3. ე. მარქაროვი („ნეფტიანიკი" ბ.)—14.

1968 წ. (20 გუნდი). 1-2. ბ. აბდურაიმოვი („ფახთაქორი" ტ.), გ. გავაშელი („დინამო" თბ.)— 22-22, 3. ე. სტრელცოვი („ტორპედო" მ.) — 21. „ტრუდის" პრიზი გადაეცათ გ. გავაშელს და ბ. აბდურაიმოვს.

1969 წ. (20 გუნდი). 1-3. ნ. ოსიანინი („სპარტაკი" მ.), ვ. პროსკურინი (ასკ რ.), ჯ. ხერხაძე („ტორპედო" ქ.) — 16-16. „ტრუდის" პრიზი გადაეცა ნ. ოსიანინს, ვინაიდან იგი სსრ კავშირის ნაკრებში გამოდიოდა და, გარდა ამისა, მის მიერ გატანილმა გადამწყვეტმა გოლებმა ჩემპიონის წოდება მოუტანა მოსკოვის „სპარტაკს".

1970 წ. (17 გუნდი). 1. გ. ნოდია („დინამო" თბ.) — 17, 2-3. ვ. კოზლოვი („დინამო" მ.), ბ. კოპეიკინი (ცსკა) — 15-15.

1971 წ. (16 გუნდი). 1. ე. მალოფეევი („დინამო" მნ.) — 16, 2. ე. მარქაროვი („არარატი" ერ.) — 14, 3-5. ა. ბანიშევსკი („ნეფთჩი" ბ.), ვ. კოლოტოვი („დინამო" კ.), ვ. შევჩენკო („ნეფთჩი" ბ.) — 10-10.

1972 წ. (16 გუნდი). 1. ო. ბლოხინი („დინამო" კ.) — 14, 2. ო. ზანაზანიანი („არარატი" ერ.) — 13, 3-4. ი. სმირნოვი („ტორპედო" მ.), გ. ხრომჩენკოვი („ზენიტი" ლ.) — 12-12.

1973 წ. (16 გუნდი). 1. ო. ბლოხინი („დინამო" კ.)— 18, 2. ა. კოქემიაკინი („დინამო" კ.) — 16, 3. ა. ანდრეასიანი („არარატი" ერ.) — 13.

1974 წ. (16 გუნდი). 1. ო. ბლოხინი („დინამო" კ.) — 20, 2-3. ა. იონკინი („ქაირათი" ა-ა), ვ. პავლენკო („დინამო" მ.) — 16-16.

1975 წ. (16 გუნდი). 1. ო. ბლოხინი („დინამო" კ.) — 18, 2. ბ. კოპეიკინი (ცსკა) — 13, 3-5. ვ. დანილიუკი („კარპატი" ლ.), დ. ყიფიანი („დინამო" თბ.), ვ. კოლოტოვი („დინამო" კ.) — 12-12.

1976 წ. გაზაფხული (16 გუნდი). 1. ა. ანდრეასიანი („არარატი" ერ.) — 8, 2. ნ. კაზარიანი („არარატი" ერ.) — 7, 3-7. რ. არიაპოვი („კრილია სოვეტოვი" კბ.), ვ. დანილიუკი („კარპატი" ლ.), დ. ყიფიანი („დინამო" თბ.), ბ. კოპეიკინი (ცსკა), ა. შებელი („დინამო" მ.) — 6-6.

1976 წ. შემოდგომა. (16 გუნდი). 1. ა. მარკინი („ზენიტი" ლ.)— 13, 2-3. ვ. დანილიუკი („კარპატი" ლ.), ბ. კოპეიკინი (ცსკა)—8-8.

1977 წ. (16 გუნდი). 1. ო. ბლოხინი („დინამო" კ.) — 17, 2. დ. ყიფიანი („დინამო" თბ.) — 14, 3. ი. ჩესნოკოვი (ცსკა) — 12.

1978 წ. (16 გუნდი). 1. გ. იარცევი („სპარტაკი" მ.) — 19, 2. რ. შენგელია („დინამო" თბ.) — 15, 3. ო. ბლოხინი („დინამო" კ.)— 13.

1979 წ. (18 გუნდი). 1. ვ. სტარუხინი („შახტიორი" დ.) — 26, 2-5. ო. ბლოხინი („დინამო" კ.), ხ. ოვანესიანი („არარატი" ერ.), ვ. პეტრაკოვი („ლოკომოტივი" მ.), ს. ანდრეევი (ასკ რ.) — 17-17.

1980 წ. (18 გუნდი). 1. ს. ანდრეევი (ასკ რ) — 20, 2. ო. ბლოხინი („დინამო" კ.) — 19, 3. რ. შენგელია („დინამო" თბ.) — 17.

1981 წ. (18 გუნდი). 1. რ. შენგელია („დინამო" თბ.)— 23, 2. ი. გავრილოვი („სპარტაკი" მ.) —21, 3. ო. ბლოხინი („დინამო" კ.) — 19.

1982 წ. (18 გუნდი). 1. ა. იაკუბიკი („ფახთაქორი" ტ.) — 23, 2. მ. მეგრელაძე („ტორპედო" ქ.)— 18. 3-4. რ. შენგელია („დინამო" თბ.), ა. ტარხანოვი (ცსკა) —16-16.

1983 წ. (18 გუნდი). 1. ი. გავრილოვი („სპარტაკი" მ.) — 18, 2. ი. გურინოვიჩი („დინამო" მნ.)— 17, 3-6. ხ. ოვანესიანი („არარატი" ერ.), სოკოლოვსკი („შახტიორი" დ.), ვ. ფინკი („ჩერნომორეცი" ო.), ა. იაკუბიკი („ფახთაქორი" ტ.) — 15-15.

1984 წ. (18 გუნდი). 1. ს. ანდრეევი (ასკ რ.) — 19, 2. გ. მხითარიანი („არარატი" ერ.) — 18, 3-5. ი. ჟელუდკოვი („ზენიტი" ლ.), ო. პროტასოვი („დნეპრი" დნ.), ი. ტარასოვი („მეტალისტი" ხ.) — 17-17.

1985 წ. (18 გუნდი). 1. ო. პროტასოვი („დნეპრი" დნ.) — 35, 2-3. ვ. კლემენტიევი („ზენიტი" ლ.), ს. როდიონოვი („სპარტაკი" მ.) — 14-14.

ახალი ჩემპიონი

საქართველოს ჩემპიონატი რეგბიში

რეგბისტთა წლევანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელიც ქიათურაში გაიმართა, ამჯერად ტურნირის სახით მოეწყო. აქამდე ეს ასპარეზობა მიმოსვლითი სისტემით ტარდებოდა და სამწუხაროდ საორგანიზაციო თვალსაზრისით ბევრი სიძნელის წინაშეც იდგა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ნაკლისგან ვერც ეს ტურნირი აღმოჩნდა დაზღვეული — გუნდებმა თითქმის შეუსვენებლად ჩაატარეს ერთიმეორეზე ძნელი მატჩები და, როგორც იტყვიან, „ამოსუნთქვის“ საშუალება არ მიეცათ. ეს რომ არ განმეორდეს, მომავალში უფრო გონივრულად უნდა შედგეს შეხვედრათა განრიგი, რათა გუნდებს მატჩიდან მატჩამდე მეტი დრო დარჩეთ.

ადრე, როცა საქართველოს ჩემპიონატში საკავშირო პირველობებზე მოთამაშე ჩვენი რესპუბლიკის გუნდებიც მონაწილეობდნენ, მოასპარეზეთა რიცხვი ხუთს ან შვიდს არ აღემატებოდა. წელს კი ქიათურის ლენინის სახელობის მაღაროს სტადიონზე ცხრა კოლექტივი შეიკრიბა — თბილისის სამედიცინო, საქართველოს პოლიტექნიკური, საქართველოს ზოოვეტერინარულ-სასწავლო ინსტიტუტების, თბილისის სამხატვრო აკადემიის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის, ქუთაისის, ზუგდიდის, ჩოხატაურისა და ქიათურის გუნდები. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეთა შორის არ იყვნენ ჩვენი ქვეყნის რეგბისტთა უმაღლესი ლიგის წევრები ქუთაისის „მშენებელი“ და თბილისის „ლოკომოტივი“, აგრეთვე პირველ ლიგაში მოასპარეზე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი „შევარდენი“, 1985 წლის რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტულისათვის მებრძოლ გუნდთა რიცხვი ჯერჯერობით სარეკორდოა. თანაც, ოსტატთა გუნდების არყოფნამ თანაბარი ძალის კოლექტივები უშეღავათო ბრძოლისთვის განაწყო.

მონაწილენი სამ ჯგუფად დაიყვნენ. ჯგუფებში გამარჯვებულებმა საპრიზო ადგილებისთვის გააგრძელეს ასპარეზობა. მეორე და მესამე ადგილებზე გამოსულებმა კი, შესაბამისად, IV-VI და VII-IX ადგილებისთვის იბრძოლეს.

ჩემპიონატის ფავორიტები — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდები გადამწყვეტ მატჩში ბოლო დღეს შეხვდნენ ერთმანეთს. უპირატესობა თავიდანვე არმიელებმა იგდეს ხელთ და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 10:3. მათ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომები და ოქროს მედლები გადაეცათ. მეორე ადგილი მედიკოსებმა დაიკავეს, მესამე — პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტებმა.

საქართველოს 1985 წლის ჩემპიონი — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გუნდი სამი წლის წინ ჩამოყალიბდა. წელს, მაისში, არმიელებმა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მესამე ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავეს. ისინი მხოლოდ ქვეყნის რვაგზის ჩემპიონს სამხედრო-საჰაერო აკადემიისა და ალმა-ათის არმიის სპორტული კლუბის გუნდებს ჩამორჩნენ. ამიერკავკასიის არმიელთა გუნდში ძირითადად ის თბილისელი და ქუთაისელი რეგბისტები თამაშობენ, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურს ოლქის ჯარის ნაწილებში გადიან. შეკრული კოლექტივია თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი. გუნდში ამჟამად თაობათა ცვლა მიმდინარეობს და მათ მიერ მოპოვებული მე ადგილი წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ სარბიელზე კვლავ ვიხილეთ ჩოხატაურელი და ქიათურელი რეგბისტები. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქიათურის „სამთოელმა“ — მიუხედავად იმისა რომ ოფიციალურ შეხვედრებში გამოსვლის დიდი გამოცდილება არა აქვთ, მათ ღირსეულად იბრძოლეს.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის, თბილისის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „მშენებლის“ ყოფილი წევრის ავთანდილ გიორგაძის მშობლიურ რაიონში, ჩოხატაურში დაბრუნება გარკვეულ იმედებს გვისახავს — გამოცდილ სპორტსმენს, ლელობურთის კარგი ტრადიციების მქონე რაიონში ღირსეული ცვლის აღზრდა შეუძლია.

გვახარებს ის, რომ ზუგდიდელები რეგბით დაინტერესდნენ, ოღონდ ესაა ამ სახეობას ადგილობრივი ხელმძღვანელობისგან მეტი ყურადღება სჭირდება. ამაში გვარწმუნებს „ლელოს“ რედაქციაში ზუგდიდელ რ. კანკიას მიერ გამოგზავნილი ბარათი. რეგბისტებს ქალაქში სათანადო ყურადღებას არ აქცევენო — ვწერს იგი. დაგვეთანხმებით, გულსატკენი და დამაფიქრებელი ფაქტია. სასიკეთო წამოწყებას დროულად უნდა ხელშეწყობა, თორემ... მცხეთაშიც იყო რეგბისტთა ახალგაზრდული გუნდი, მაგრამ ახლა იქიდან ჩამიჩუმი აღარ ისმის. უნდა ვუსაყვედუროთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგბისტებსაც. ეს კოლექტივი 1980 წელს საქართველოს ჩემპიონი იყო, წელს კი რესპუბლიკის ჩემპიონატზეც ვერ მოხვდა.

ახლა იმ საფიქრალის შესახებ, რაც ამ ჩემპიონატმა გაგვიჩინა. უსათუოდ უნდა განახლდეს საქართველოს რეგბისტთა თასის გათამაშება. რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილე გუნდები სეზონის მანძილზე მხოლოდ ამ ერთი შეჯიბრების ამარა რჩებიან და თავის გამოჩენისა და ძალების შემოწმების სხვა საშუალება არა აქვთ. ჩვენი რეგბის ალმასვლისთვის ახლა საჭიროა მისი გავრცელების არეალის გაფართოება. თელავში ნორჩ რეგბისტთა გუნდი ჩამოყალიბდა, ახლახან ზესტაფონშიც დაიწყეს რეგბის თამაში. საკითხავია, რატომ არ უნდა ზრუნავდნენ რეგბის სექციის გახსნაზე მაგალითად გორში, ბათუმში, რუსთავში, სოხუმში, ფოთში, ცხინვალში, მახარაძეში და სხვაგან? დროა იმართებოდეს რეგბის მწვრთნელთა და მსაჯთა სემინარებიც. მომწიფდა ფიზკულტურის ინსტიტუტში რეგბის სპეციალისტთა მომზადების საკითხიც.

გაბრიელ ბარჯაძე,
საქართველოს რეგბის ფედერაციის წევრი.

საქართველოს 1985 წლის ჩემპიონი რეგბიში ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან): იმედო ფაშალიშვილი, დავით ჯაფარიძე, ედუარდ ბარხეგიანი, ემზარ გუგუჩაძე, მიხეილ ხარატი, ნიკოლოზ კლდიაშვილი, თენგიზ თავაძე, ლევან ხაზალია, გიორგი მეტრეველი.
დგანან: გუნდის მწვრთნელი, სპორტის ოსტატი გივი ავლასტიმოვი, ნუგზარ მალაღურიძე, ზურაბ სტეფნაძე, გია გოდერძიშვილი, იგორ ქერაული, მამუკა ჯანაშია, გურამ აფციაური, დავით ბიძინაშვილი, დავით გიორგობიანი, მამუკა გაგნიძე, გიორგი გიუნაშვილი და დიმიტრი თედოშვილი.

გივი მიროტაძის ფოტო.

სტეფან კარონის მრწამსი

მას ცურვის ახალ ფენომენს უწოდებენ. ჟურნალ „ეკიპ მაგაზინის“ აზრით, სტეფან კარონის თავისუფალი სტილით 100-მეტრიან დისტანციაზე გამარჯვება შარშანდელ ევროპის ჩემპიონატში ხელს შეუწყობს საფრანგეთში სპორტის ამ მივიწყებული სახეობის აღორძინებას. ამავე ჟურნალში გამოქვეყნდა ინტერვიუ 19 წლის მოცურავესთან.

— საფრანგეთში ცურვა დიდი პოპულარობით არ სარგებლობს და ჩემპიონობა. სწორედ ამ სახეობაში ერთგვარი გაწბილების გრძნობას ხომ არ იწვევს თქვენში?

— არა, რასაკვირველია. ისე კი გული მწყდება, რომ ჩემს სამშობლოში სპორტის ეს სახეობა არ დგას ამ დონეზე, რასაც იმსახურებს.

— თქვენი აზრით, არის თუ არა გამოსავალი?

— საჭიროა ცურვა უფრო მიმზიდველი გავხადოთ მაყურებლისთვის. შეჯიბრებებს საზეიმო ელფერი უნდა ჰქონდეს. სპორტის ამ სახეობას დიდ პოპულარიზაციას გაუწევს ფრანგი სპორტსმენების წარმატებები საერთაშორისო სარბიელზე. გაიხსენეთ — ცნობილი მოცურავეების გოტვალისა და რუსოს დროს ეს სახეობა ისე პოპულარული გახდა, გეგონებოდათ ფრანგები მთელ თავისუფალ დროს აუზებში ატარებენო...

— დღეს ცურვა თითქმის აუცილებელ დისციპლინად ითვლება ფრანგულ სკოლებში...

— სამწუხაროდ, ჩვენ გვაკლია პედაგოგები, რომლებიც ბავშვებს გაუღვივებენ ინტერესს სპორტის ამ სახეობისადმი, გვაკლია მწვრთნელები, რომლებიც ტალანტების ძიებით იქნებიან დაკავებული. ცურვა ხომ ნიჭის გარდა დიდ გულმოდგინეობასა და კარგად დაგეგმილ მზადებას მოითხოვს. აუზში მე ბევრ ნიჭიერ ბავშვს ვხედავ, მაგრამ ვარჯიშის არსებული სისტემა არ აძლევს მათ თავიანთი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენის საშუალებას.

— არის თუ არა გამონაკლისი?

— არის. მაგალითად, ჩემი მწვრთნელი გი ბოსიერი. იგი საწვრთნელ პროცესს ისე გეგმავს, რომ გამოავლინოს თავისი მოწაფეების ძლიერი მხარეები. მე, მაგალითად, ყოველთვის როდი ვიმარჯვებდი, მაგრამ არასოდეს გამიგონია მისგან საწყენი სიტყვები, მკაცრი შეფასება. ბოსიერი ცდილობს წარუმატებლობის მიზეზის გარკვევას, ეძებს მასთან ბრძოლის საშუალებას. მასთან ერთად მუშაობა დამატებითი სტიმულია. ვფიქრობ, ჩემი მწვრთნელის დახმარების გარეშე ევროპის ჩემპიონი ვერ გავხდებოდი.

— გამოიწვია თუ არა ამ გამარჯვებამ რაიმე ცვლილება თქვენს ცხოვრებაში?

— არა, წარმატება თავში არ ამვარდნია. ოჯახისა და ახლობლებისთვის ისევ ის სტეფანი დავრჩი, რაც ვიყავი. თუ მოხდა კიდეც რაიმე ცვლილება, მხოლოდ შეჯიბრებებისადმი ჩემს დამოკიდებულებაში — ახლა მე უკვე ველარ ვაძლევ თავს წაგების უფლებას. რაც შეეხება ლაპარაკს დიდებასა და „ვარსკვლავების სენზე“, მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ ადამიანის „ვარსკვლავად“ შერაცხვისა, მით უმეტეს სპორტში. ჩემთვის ცურვა სიამოვნებაა და არა თვითრეკლამის საშუალება. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის ფული ავიღო.

— ამბობენ, სპორტი ცხოვრების სკოლააო, ეთანხმებით თუ არა ამ აზრს?

— ცურვა ჩემი სიცოცხლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ის მეხმარება ფსიქოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებაში.

— ამ ორი წლის წინათ თქვენ პირველად დაამყარეთ ეროვნული რეკორდი. ფიქრობდით თუ არა მაშინ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ევროპის ჩემპიონი გახდებოდით?

— ვფიქრობდი, მაგრამ ეს აუხდენელ ოცნებას უფრო ჰგავდა. დამეთანხმებით, ჩემს ასაკში ძნელია ასეთი წარმატება ივარაუდო. მით უმეტეს, ამისთვის საჭირო იყო დამემარცხებინა თვით დასავლეთგერმანელი იორგ ვოიტე, რომელიც ამერიკელ როუდი გეინსთან ერთად ჩემი კერპი გახლდათ.

— ახლა თქვენი მთავარი მეტოქეა მეორე ამერიკელი მოცურავე მეტ ბიონდი. ხომ არ გაშინებთ მის მიერ ნაჩვენები ფანტასტიკური შედეგი — 48,95 წამი?

— პირიქით, ეს საბრძოლველად განმაწყობს. გაისად მსოფლიო ჩემპიონატზე მინდა „ბრძოლა“ გამოვუცხადო ამ ბრწყინვალე მოცურავეს. ისიც კარგად მესმის, რომ ბიონდის მეტოქეობა ჯერ ძალზე ძნელია. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შევძლებ მივაღწიო მის დონეს მოსამზადებელ პერიოდში, როგორ სპორტულ ფორმასა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვიქნები უშუალოდ სტარტის დღეს.

— რით გსურთ ამ ინტერვიუს დასრულება?

— მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ მე მჯერა საფრანგეთში ცურვის მომავლისა. მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომელთა შესახებაც უკვე ვთქვი, ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი მოცურავეები რამდენიმე წელიწადში მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა რიგებში იქნებიან. საფრანგეთში უკვე დღეს ძალიან ბევრია პოტენციურად ჩემზე ძლიერი მოცურავე.

ფეხბურთ

ქუთაისელთა მესამე გამარჯვებ

ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბ რთელებმა ინდონეზიაში მესა ამხანაგური საერთაშორისო მატ გამართეს და მესამე გამარჯვებ მოიპოვეს. ქუთაისელი ფეხბურთე ლები ქალაქ ბანდუნგში შეხვდნე ადგილობრივ „პერსიბს“, რომელი ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ად გილზე იმყოფება, და კვლავ გა მარჯვეს — 3:1.

საქართველოს პირველო

გათამაშების ცხრილი

II ჯგუფი

დასავლეთი ზონა

საბოლოო მდგომარეობა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
„სალხინო“	30	21	5	4	79-31
„ნარინჯი“ ნ.	30	17	7	6	69-39
„ნარინჯი“ ქ.	30	16	9	5	52-31
„ჩიბათი“	30	14	5	11	53-47
„ნარინჯი“ გ.	30	13	5	12	32-35
„კოლხეთმ.“	30	12	7	11	58-51
„სუბტროპ.“	30	12	5	13	50-52
„ავტომობ.“	30	11	7	12	59-63
„გიგანტი“	30	10	9	11	46-40
„კოლმეურ.“	30	12	4	14	54-61
„მეშახტე“	30	11	6	13	50-57
„ნავერწკ.“	30	11	5	14	43-69
„ენგური“	30	8	11	11	49-52
„ოდიში“	30	10	6	14	53-57
„აკავრეთა“	30	10	3	17	42-56
„სენაკი“	30	3	4	23	33-81

თქვენი სვლა

ამოცანა
ხ. ხულტბერგი
(შვეცია)
1963 წ.



შამათი სამ სვლაში

ამ ამოცანამ შვეციის საჭადრაკ ჟურნალის კონკურსში I პრიზ დაიმსახურა. მასში კარგადაა შე ნიღბული შამათი მხედრებით.

* * *

„ლელოს“ 1 დეკემბრის ნომერშ გამოქვეყნებული ვ. შინკმანის ამ ოცანის ამოხსნა: 1. კe2. 1. ...მფb 2. ლa5+; 1. ...მფb7 2. ლc8+.



ცენტრალური ტელევიზია. 8 დეკემბერი. რიტმული ტანვარჯიში — 9.30 (2); „სპორტლოტოს“ ტირაჟი — 10.20 (1); ფეხბურთი. გადასასვლელი ტურნირი: „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — 20.15 (1); საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში — 18.20, 21.05 და 22.35 (1).

9 დეკემბერი. რიტმული ტანვარჯიში — 20.30 (2).

საკავშირო რადიო. 8 დეკემბერი. სპორტული გადაცემა — 23.40.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 08970